## თუ პრემიერ-მინისტრი, პარლამენტმა იმპიჩენტის წესით გადააყენა...
## #სქემა N1

საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლი საქართველოს კანონი იმპიჩმენტის შესახებ 1-ლი მუხლი თვალისწინებს მთავრობის წევრის იმპიჩმეტის პროცედურით თანამდებობიდან გადაყენების შესაძლებლობას. საქართველოს პრემიერ-მინისტრი არის მთავრობის მეთაური, მაგრამ ის ამავდროულად მთავრობის წევრიცაა. მთავრობის წევრის-ამ შემთხვევაში პრემიერ მინისტრისთვის იმპიჩმენტის პროცედურის დასაწყების საფუძველია:

1. კონსტიტუციის დარღვევა
2. დანაშაულის ჩადენა

**პარლამენტი**

იმპიჩმენტის წესით პრემიერის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრა პარლამენტის სრული შემადგენლობის ანარანაკლებ 1/3-ით

**პარლამენტი**

საკითხის აღძვრიდან 7 დღის ვადაში დასკვნის მისაღებად საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვა

**საკონსტიტუციო სასამართლო**

საკონსტიტუციო სასამართლომ საკონსტიტუციო წარდგინების მიღბიდან 30 დღეში მიიღო დადებითი დასკვნა

**პარლამენტი**

საკონსტიტუციო სასამართლოს დადებითი დასკვნის მიღებიდან არაუგვიანეს 15 დღისა, პარლამენტმა კენჭი უყარა პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადაყენებას და სრული შემადგენლობის უმრავლესობით გადააყენა თანამდებობიდან

**დასკვნა**

პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადაყენება ნიშნავს მისი უფლებამოსილებების შეწყვეტას, რაც კაბინეტის სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე მოჰყვება მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტა. ასეთ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი ახალი მთავრობის შექმნამდე უფლებამოსილებაშეწყვეტილ მთავრობას (გადაყენებული პრემიერით) აკისრებს მთავრობის მოვალეობის შესრულებას.